ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 217

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონისათვის“ უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 22 აგვისტოს N01/18670 წერილობითი მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონისათვის“ (ს.კ. 412729374) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ, 43 000,0 (ორმოცდასამი ათასი) ლარის ღირებულების 1 (ერთი) ერთეული ბალახის საკრეჭი მანქანის („Dennis G860“), მჭრელპირიანი ცილინდრის, ჯაგრისის, უკანა სკამის, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ (ს.კ. 412729374) მიერ, საკუთრებაში გადაცემული, წინამდებარე განკარგულების პირველ მუხლში ხსენებული მოძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია